თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 8

სოფ. სანიორე 2018 წლის 20 აგვისტო

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამაუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ლევან ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ახმეტისა და თელავის მაჟორიტარი პარლამანტის წევრი გელა სამხარაული, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე, თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს წევრები: დავით ღაღანიძე, უჩა ჭოტიაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ორგანიზაცია "World Vision საქართველო"-ს "კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის" ხელმძღვანელი - ნანა ათუაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის 2018-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს: ლ. კოჭლოშვილი

2. ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების მიწოდების (საპროექტო განაცხადი) განხილვის შესახებ

   მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის 2018-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოფლის ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს თელავის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სრტატეგიის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის 2018-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

მოისმინეს: 2. ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების მიწოდების (საპროექტო განაცხადი) განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ დღის ცენტრის მომსახურება ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოაშლილობის მქონე პირებისათვის, ის არამარტო უუმჯობესებს მათ სოციალურ უნარებს არამედ მნიშვნელოვანი მხარდამჭერი რესურსია მათი დაავადების პრევენციისათვის.

ცენტრი ემსახურება მოზრდილი ასაკის ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირებს, ამჟამად მომსახურებით სარგებლობს 33 ბენეფიციარი, სადაც ისინი გადიან ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ ბენეფიციართა რაოდენობა 33-ია. ამჟამად 4 ბენეფიციარს შეტანილი აქვს სოციალურ მომსახურების სააგენტოში განცხადება ცენტრის მომსახურების მიღების თაობაზე, მაგრამ მათი განცხადებები ვერ კმაყოფილდება. ამ 4 ბენეფიციართათვის ცენტრის მომსახურების გარეშე ყოფნა მათი მხრიდან დაავადების ხელახლა გამწვავების აგრესიული

ქცევის დიდ ალბათობას უკავშირდება რაც მათთვის და საზოგადოებისთვისაც საზიანოა.

თელავის მერიის მხრიდან ამ 4 ბენეფიციარისათვის დღის ცენტრის მომსახურების დაფინანსებით საშუალება მიეცემათ ისარგებლონ დღის ცენტრის მომსახურებით, რათა თავიდან აცილებულ იქნას დაავადების გამწვავების შესაძლო პროცესები

კომისიაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა მომხსენებლის მოსაზრებას.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი სახით პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი